საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2018 წლის 08 ოქტომბერი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №223/17

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2017 წლის 8 დეკემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 10 ივლისის №223/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლე -- -- წარმოებაშია შპს -- საქმე, რომელთანაც მათ კომპანიას - შპს -- გაფორმებული აქვს სალიცენზიო შეთანხმება მათი წარმოებული პროდუქციის - ხილის წვენების საქართველოში იმპორტის თაობაზე. დაახლოებით ერთი წელია მიმდინარეობს სასამართლოში საქმის განხილვა. მოსამართლე შეგნებულად არ განიხილავს სარჩელს. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მათ არაერთხელ მიმართეს მოსამართლეს საქმის გაჭიანურების გამო მოსალოდნელ ზარალთან დაკავშირებით, თუმცა უშედეგოდ.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 30 დეკემბერს სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადებით მიმართა სასამართლოს შპს --.

2016 წლის 30 დეკემბრის -- საქალაქო სასამართლოს მოსამართლის -- -- განჩინებით შპს -- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა, ყადაღა დაედო შპს -- მიერ შემოტანილ საქონელს.

2017 წლის 4 იანვარს განცხადებით მიმართა შპს -- წარმომადგენელმა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

2017 წლის 4 იანვარს -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- განსახილველად გადაეცა შპს -- განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე.

2017 წლის 4 იანვრის განჩინებით დაკმაყოფილდა შპს -- განცხადება სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ. ყადაღა დაედო შპს -- მიერ შემოტანილ, 2016 წლის 1 დეკემბრის -- (--) სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით გაცხადებული საქონლის ნაწილს.

2017 წლის 10 იანვარს შპს -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების - შპს -- და სსიპ -- წინააღმდეგ უფლების ხელყოფის აღკვეთის მოთხოვნით.

2017 წლის 17 იანვარს შპს -- საჩივრით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა -- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინების გაუქმება.

2017 წლის 20 იანვრის განჩინებით შპს -- საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

2017 წლის 23 იანვარს შპს -- განცხადებით წარმოადგინა მოპასუხეზე გზავნილის ჩაბარების დასტური.

2017 წლის 23 იანვარს შპს -- -- საქალაქო სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

2017 წლის 1 თებერვალს მოსამართლე ---- მოხსენებითი ბარათით მიმართა --საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს და ითხოვა საქმე დაბრუნებოდა საქმის განმხილველ მოსამართლე -- --.

2017 წლის 2 თებერვალს განცხადებით მიმართა სასამართლოს შპს -- მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების მიზნით საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე მოსარჩელეს დავალებოდა თანხის განთავსება.

2017 წლის 3 თებერვალს -- საქალაქო სასამართლოს შეგებებული სარჩელით მიმართა შპს -- მოპასუხე შპს -- წინააღმდეგ დიზაინის რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

2017 წლის 6 თებერვალს სსიპ -- -- სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

2017 წლის 8 თებერვლის -- საქალაქო სასამართლოს მოსამართლე -- -- განჩინებით შპს -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გადაეგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს.

2017 წლის 8 თებერვლის განჩინებით შპს -- უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის მიღებაზე.

2017 წლის 2 მარტს სასამართლოს კერძო საჩივრით მიმართა შპს -- და მოითხოვა 2017 წლის 8 თებერვლის შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის განჩინების გაუქმება.

2017 წლის 17 აპრილის განჩინებით შპს -- უარი ეთქვა მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

2017 წლის 23 ივნისს განცხადებით მიმართა სასამართლოს შპს -- და მოითხოვა -- საქალაქო სასამართლოს 04.01.2017 წლის და 30.12.2016 წლის განჩინებების გაუქმება.

2017 წლის 28 ივნისს -- სააპელაციო სასამართლოს გაეგზავნა შპს -- კერძო საჩივარი -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 8 თებერვლის განჩინებაზე და საჩივარი -- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 30 დეკემბრისა და 2017 წლის 4 იანვრის განჩინებებზე.

2017 წლის 7 სექტემბრის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებებით შპს -- უარი ეთქვა საჩივრებისა და კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

2017 წლის 6 ოქტომბერს სამოქალაქო საქმე დაბრუნდა საქალაქო სასამართლოში.

2018 წლის 6 მარტს განცხადებით მიმართა შპს -- -- საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ყადაღის მოხსნა დაყადაღებულ ხილის ნექტარზე, რათა უზრუნველეყო შესაბამისი პროცედურების გავლით მისი განადგურება, ვინაიდან დამატებით უწევდა ვადაგასული პროდუქციის შენახვის ხარჯების გაწევა, რაც ზრდიდა მიყენებული ზარალის ოდენობას.

2018 წლის 26 მარტის განჩინებით შპს -- განესაზღვრა ვადა ხარვეზის შესავსებად.

2018 წლის 30 აპრილის განჩინებით შპს -- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდა; გაუქმდა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება იმ ნაწილში, რითაც ყადაღა დაედო შპს -- მიერ 2016 წლის 1 დეკემბრის -- (--) სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით გაცხადებული საქონლის ნაწილს.

საქმის განხილვა ამ ეტაპისთვის არ დასრულებულა.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება“.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის/საჩივრების საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებით განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მოცემულ შემთხვევაში, პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს, თუ როდიდან უნდა დაიწყოს საქმის განხილვის ვადის ათვლა - როგორც წესი საქმის განხილვის დაწყების თარიღად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს - სარჩელის/შესაბამისი განცხადების განსჯად/უფლებამოსილ სასამართლოში წარდგენის დროს (Poiss v. Austria; 50; Bock v. Germany, 35).

ამასთან, საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული სასურველია შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, 55; Papachelas v. Greece, 39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, 63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, 150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, 103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან

(Acquaviva v. France, 61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; 93; Tiece v. San Marino; 31; Suermeli v. Germany, 129.)

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, 43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; 98).

ამდენად, ყოველ კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს საქმის განხილვის ხანგრძლივობა, მოსამართლის დატვირთულობა, მოსამართლის ხელში არსებული რესურსების საკმარისობა, ასევე ზიანი, რომელიც მიადგა მხარეს საქმის დაყოვნების შედეგად.

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-3[1] პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

განსახილველ შემთხვევაში, 2017 წლის 1 თებერვალს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2017 წლის 28 ივნისიდან - 2017 წლის 6 ოქტომბრამდე საქმის მასალები გადაგზავნილი იყო -- სააპელაციო სასამართლოში საჩივრის განხილვის მიზნით, ამდენად ამ პერიოდში მოსამართლე -- -- ვერ განიხილავდა საქმეს (3 თვე და 9 დღე). აქვე ყურადღება უნდა

მიექცეს იმ პერიოდებს, როდესაც მოსამართლე საავადმყოფო ფურცელზე გასვლის გამო ვერ ასრულებდა სამსახურეობრივ უფლებამოსილებას, კერძოდ 01.03.2017-27.03.2017 წ; 02.05.2017-05.05.2017 წ; 22.05.2017-29.05.2017 წ; 12.06.2017-16.06.2017 წ; 03.07.2017-05.07.2017 წ, 19.04.2018-20.04.2018 წ, 15.05.2018-09.07.2018 წ. ასევე, გასათვალისწინებელია მოსამართლის შვებულებაში ყოფნის პერიოდი 31.07.2017-4.08.2018 წ, 27.12.17-29.12.2017 წ. 11.01.2018-.13.01.2018 წ, 14.05.2018 წ, 30.06.2018 – 7.09.2018 წ. (საერთო ჯამში 4 თვე და 27 დღე). ასევე მნიშვნელოვანია შეფასდეს მოსამართლის დატვირთულობა, მასზე განსახილველად გადაცემულ და მის მიერ დასრულებულ საქმეთა რაოდენობა. -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლე -- -- განსახილველად ეწერა 652 სამოქალაქო საქმე, ხოლო ამათგან დაასრულა 530 სამოქალაქო საქმე (81%).

არსებული სტატისტიკის, დატვირთულობის, მოსამართლის საავადმყოფო ფურცელზე და შვებულებაში ყოფნის პერიოდის, ასევე მის მიერ ჩატარებული საპროცესო მოქმედებების გათვალისწინებით, მოსამართლე -- -- მხრიდან ადგილი არ ჰქონია საქმის განხილვის „უსაფუძვლო“ ბრალეული გაჭიანურების ფაქტს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 8 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12 წევრთაგან 12 ხმით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75[12] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №223/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი